

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
შოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 11

1883—1899

15 ივნისი


საქართველოს ექსარხოზის მთავარ-ეპისკოპოსის ფლაბიანეს მოკვსაურობა იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში,

დასასრული *)



პრილის 30 დღის 8 საათზედ, სახალხო მატარებლით შემობძანდა მისი მალალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოზი ფლაბიანე ფოთში. სადგურზედ საზოგადოება ბლომად დაუხვდა. პირველად გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე მიეგება. შემდეგ ქალაქის მოურავმა ბ-ნ ნ. ნიკოლაძემ პურმარილი მიართვა და იქვე დამსწრე

საზოგადოებამ ექსარხოზისგან შენდობა მიიღო. ამის შემდეგ საპატია სტუმარი ფოთის საკრებულო და საკათედრო ტაძარში მიაცილეს. აქ მის ყოვლადუსამღვდელოესობას მრავალი საზოგადოება დაუხვდა; აქვე ეხოს ჭიშკრიდან დაწყებული თვით საყდრის შესავლამდის ორ რიგად დარაზმული იღვინე სამრევლო სკოლის მოსწავლეები. შუაზედ, სადაც ექსარხოზს უნდა გაევილო, გზა მოფენილი იყო ხალიჩებითა და სხვა-და-სხვა გვარ სურნელოვან ყვავილებით. ტაძარში შესვლის დროს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მოკლე, მაგრამ მეტად ვრძნობიერის სიტყვებით მიჰმართა ექსარხოზს. ეკლესიიდან, მცირე ლიტის გარდახდის შემდეგ, ექსარხოზი ჩაიხვდ ეპისკოპოსთან წაბძანდა, შემდეგ ადგილობრივ სკოლების დათვალიერებას შეუდგა. სკოლების შემდეგ დაათვალიერა ქალაქის სამკურნალო, ქალაქის ბაღთან მალალ-ყოვლად სამღვდელოდ დაათვა-



ლიერა ის ადგილი, სადაც ახალი საკათედრო ტაძარი უნდა აშენდეს. 12 საათზედ წავთვალე სადგურისაკენ გაემართა მისი მალალ ყოვლად უსამღვდელოესობა, სადაც მან მთელს ერთ საათს დაჰყო. საათის პირველზედ ექსარხოის ეპისკოპოსის სახლში დაბრუნდა; სადილობამდის მის მეუფებასთან გამოცხადნენ გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამსწავლებლო საბჭოს წევრნი, რომელთაც ექსარხოისმა გამოჰკითხა, თუ რა მდგომარეობაშია სწავლა-განათლების საქმე გურია-სამეგრელოშიო. სადილად ექსარხოის ეპისკოპოსთან იყო მიწვეული; მიპატიებულნი ჰყავდა ეპისკოპოსს აგრეთვე ქალაქის მოურავი და სხვანი, უმეტესად კი სასულიერო წოდების კაცნი. საღამოზედ-კი მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, ეპისკოპოსი, ქალაქის მოურავი და სხვანი ექიმ კ. მიქაბერიძისას იყვნენ მიწვეულნი ჩაიზედ. 30 ღამე გაათია ექსარხოისმა ეპისკოპოსისას, საიდანაც მისი მეუფება 1 მაისს დილის 6¹/₂ საათ. მატარებლით გაემართა ახალ-სენაკს.

1 მაისს, დილის რვა საათზედ ფოთიდან ახალ-სენაკს წაბრძანდა მისი მალალ-ყოვლად უსამღვდელოესობა. მისს მეუფებას თან ახლდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო აღექსანდრე. რკინის გზის სადგურზედ მის მეუფებას მიეცება მთელი ახალ სენაკის ინტელიგენცია, თავად-აზნაურობა, ვაჭრები და ახლო მახლო სოფლის მცხოვრებლები. დაბის წარმომადგენლებმა მისს მეუფებას მ' ვასკოვსკის ხელით პურ-მარლი მიართვეს. მისმა მეუფებამ მადლობა გარდაუხადა და იქ მდგომი ხალხი დალოცა. აქედგან ექსარხოისი პირდაპირ ეკსლესიაში წაბრძანდა, სადაც დაუხვდა ადგილობრივი ბლადოჩინი მღვდელი არისტარ. კალანდარიშვილი. მცირე ლიტის გარდახდის შემდეგ ექსარხოისი აღექსანდრე ეპისკოპოსითურთ მიბრძანდა პოლკოვნიკის თავ. ფარნაოზ მხეიძის სასახლეში, სადაც მიირთვა ჩაი. აქედგან წაბრძანდა სამეგრელოს სასულიერო სამსწავლებლოში; მოსწავლეებს რამდენიმე კითხვა მისცა. ყველა კლასი დაიარა, დალოცა მოსწავლეები და დიდად კმაყოფილი გამობრძანდა. მისი მეუფება სამსწავლებლებიდან წაბრძანდა ნორმალურ სკოლაში და სამრევლო საეკლესიო და სამინისტრო საქალებო სკოლებში. აქაც რამდენიმე კითხვა მისცა მოსწავლე ქალებს. მისმა მეუფებამ თითქმის ირგვლივ შემოუარა დაბასა და დაათვალიერა ადგილ-

მდებარეობა დაბისა. თავისის თვალთ ინახულა მარხის ექიმის გ. კახიანის და აწ უკვე გარდაცვლილის ი. ჯიჯინიას შენობა, რომლის ყიდვაც უნდა სამღვდელოებას სასწავლებლის მოსათავსებლად, თუ ვინცობაა საკუთარი შენობა ვერ ააშენა იმ გეგმზედ, რომელიც უწმიდესის სინოდისაგანაა გამოგზავნილი თორმეტ საათზედ თავ. ფარნ. მხეიძის სასახლეში მიბრძანდა, საიდგანაც, საუზმის მირთმევის შემდეგ. გაემგზავრა თავისის ამალით ს. მარტვილს. ყოველგან ხალხი აღტაცებით ეგებებოდა და მათი მეუფებაც ყველას ლოცავდა.

გზაში სოფელს ნაქალაქევი სოფლის მცხოვრებნი, დიდი და პატარა, დილის ცხრა საათიდან, ერთად შეკრებულნი იყვნენ ნაქალაქევის ორმოც მოწამეთა ორ მტატიან ეკლესიის გალავანშიდ და მოუთმენლად ელოდებოდნენ მალალ ყოვლად უსამღვდელოესობის მობრძანებას.

ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, რომ მათი მეუფება მობრძანდა, აკურთხარა მათმა მეუფებამ იქ დამსწრე საზოგადოება, დალოცა შკოლის შეგირდები, დაწვრილებით გამოჰკითხა მასწავლებელს შკოლის მდგომარეობა და უბრძანა ენერგიულად განგრძობა თავის წმიდა მოვალეობისა, შემდეგ გაემართა მათი მეუფება ეკლესიაში, სადაც ხსენებული ბლადოჩინი კ. ჩაჩიბაია მიეგება შემდეგი მოკლე სიტყვით:

მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო,
უმაწყაფესო მწყემს-მთავარო!

რწმუნებული ჩემდამო ნაქალაქევის საბლადოჩინო სამღვდელოება, რომელიც შესდგება 14 მტატის კრებულთაგან, თქვენი მალალ ყოვლად უსამღვდელოესობის მართლ-მსაჯული განკარგულებისა და სიყვარულით აღსავსე მფარველობასა ქვეშე იმყოფება რა ყოვლის ფრით კმაყოფილი და დამშვიდებული, დღეს გაბედნიერებული თქვენი მალალ-ყოვლად უსამღვდელოესობის პირის-პირ ხილვით განსცხრების სიხარულითა დიდითა ფრიად და ამა ძველთა-ძველი ნაქალაქევის 40 მოწამეთა ტაძარში სასოებით აღავლენს უზენაეს არსებისადმი გულმხურვალე ლოცვას თქვენი მალალ ყოვლად უსამღვდელოესობის სიცოცხლისა, დღევრძელობისა და მშვიდობით მგზავრობისათვის და გამოითხოვს მწყემსმთავრულსა თქვენსა ლოცვა კურთხევასა.

შემდეგ ამისა აკურთხა მათმა მეუფებამ სამღვ-



დღეობა დაბრძანდა ეკლესიაში, სადაც დაათვალიერა ეკლესიის ძველი მხატვრობანი. ამ დროს გადახდილ იქნა ეკლესიაში ლიტია. ლიტის შემდეგ მათმა მეუფებამ კვლავ აკურთხა ხალხი, მრავალნი ხელზე იმთხვია და მერმე გამობძანდა ეკლესიიდან. ხალხმა და შკოლის შევირდებმა „ქრისტე აღდგას“ გალობით გააცილეს, სიყვარულით აღსავსე მწყემს-მთავარი დიდის სასოებით. აქედან მათი მეუფება წაბძანდა მარტვილს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ მათი მეუფება მოგზაურობის დროს დიდ-ყურადღებას აქცევდა სამრევლო საეკლესიო შკოლების მდგომარეობას, როგორც მაგალითად ბლალოჩინ კ. ჩაჩიბაიას საბლალოჩინო საზღვარზედ ლოცვა-კურთხევის მიღებაზედ დაწვრილებით გამოჰკითხა რწმუნებული მისდამო კიწიის ორკლასიანი სამრევლო შკოლის მდგომარეობა და იუწყა აგრეთვე სხვა საეკლესიო შკოლების გარემოებაც და მდგომარეობა.

სოფელი ნაქალაქევი შესაშინევია თავის ძველი ისტორიული ნაშთებით. აქ მჩქეფარე ტეხურის პირათ დიდის მთის ძირში აშენებული ნაქალაქევის ეკლესია მეშვიდე საუკუნეში თუ უფრო ადრე, სადაც, როგორც ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს, და თვით ამ ეკლესიაზედ მიდგმული ეკვედრში ორმოც-თავიანი დიდი ლოდი, ეს წმიდანი ორმოც მოწამენი აქ უნდა იყვნენ დასაფლავებულნი, აქვე დგანან მრავალთ ციხე ნანგრევი, ვებერთელა ქვეებით ნაშენი კედლები და სადარაჯო კარები (ზასტავა), რომელნიც თავიანთი აგებულებით დაბუნების შეუპოვარი სიმტკიცით მოგვაგონებენ პირველ საუკუნეების ნაშთთა.

ტყუილად არ ეწოდება ამ სოფელს „ნაქალაქევი“. ისტორიული ლეგენდით აქ იყო ქალაქი „ეა“, სადაც სცხოვრობდა საქართველოს მეფე აეტი, რომელსაც საბერძნეთის მეფემ იაზონმა წაართვა ქალიშვილი „მელია.“

ძვირფას სტუმრის მობძანების ხმამ გაახარა მთელი მარტვილის საზოგადოება, დიდი და პატარა მოუთმენლად მოელოდნენ იმ დღეს, რა დღესაც უნდა მობძანებულიყო მისი მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობა, და აი ეს სანატრელი დღეც მარტვილებს ჩქარა დაუდგათ, აუსრულდათ მათი გულის წადილი. შაბათს 1 მაისს ნაშუადღევს 2 საათზე მარტვილის მონასტრიდან და ახლო-მახლო მისდამი

ეკლესიებიდან გაისმა ზარების ხმა. ამ ხმას აჰყვა მთელი საზოგადოება დიდი და პატარა, კაცი და ქალი და ჩქარის ნაბიჯით გაეშურნენ მონასტრისაკენ. ადგილობრივი ბოქაული ბ. დგებუაძე წავიდა დასახვედრათ მისი მეუფებისათანახლებით მრავალ ცხენოსანთა.

არ გასულა ერთი საათი და მონასტრის ეზო საკვ იყო, ყველას თვალი იქით ჰქონდა გაშტერებული, საიდგანაც უნდა მობძანებულიყო მისი მეუფება. 4 საათზე კიდევაც გამოჩნდა ეტლი, რომელშიაც ისხდნენ მისი მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობა ექსარხოსი ფლაბიანე და ყ-დ უსამღვდელოესი ალექსანდრე, მათ მოჰყვებოდნენ ეპარქიის მეთვალყურე ბ. ჟორდანი, მაზრის უფროსი ბ ქავთარაძე, ექიმი ბ. მიქაბერიძე, მდივანი ეპარქიალურ კანცელარიისა ბ. ჩაჩანიძე და სხვები. დ. ნაოლაღეთან დახვდნენ მოვაჭრენი და მრავალი სხვა საზოგადოება, რომელთაც ადგილობრივ მამასახლისის მეთაურობით მიართვა მის მეუფებას პურ-მარილი. საავადმყოფოსთან დახვდნენ ორ კლასიან სამინისტრო სკოლის მოწაფეები და მათი მასწავლებელნი, მოწაფეებმა მშვენიერათ უგალობეს „ისპოლა“. აქედან ეტლით მისი მეუფება ამობრძანდა მონასტერში, სადაც აუარებელი ხალხი მოაწყდა, ეკლესიის კარებთან დაუხვდნენ „ისპოლას“ გალობით ორ კლასიან სამაგალითო სამრევლო სკოლის მოსწავლეები. მაღალ ყ-დ უსამღვდელოესი ფლაბიანე პირდაპირ შებძანდა მონასტერში, სადაც მას შეეგებნენ შემოსილნი არქიმანდრიტები და მრავალი სამღვდელოება. შესვლისათანავე კარებთან ყ-დ სამღვდელო ალექსანდრემ მშვენიერი მოკლე სიტყვით მიმართა მის მეუფებას და აღუსნა, თუ ვინ იყო ამშვენებელი მარტვილის მონასტრისა და როდის აშენდა იგი, გადაუთარგმა აგრეთვე, რას ნიშნენ სიტყვები „ქყონდიდი“ და „მარტვილი“. შემდეგ მისი მეუფება შებძანდა შიგ მონასტერში, სამღვდელოებამ გარდაიხადა პარაკლისი მცირე. თუმცადა ხორო მომზადებული იყო რუსულათ ეგლობნათ, მაგრამ მისმა მეუფებამ ბრძანა, ქართულად იგალობონო. პარაკლისის შემდეგ აკურთხა საზოგადოება მისმა მეუფებამ და თითონ ინება ჯვარზე მთხვევა საზოგადოებისა. ამის შემდეგ მისი მეუფება წაბძანდა ახალ აშენებულ საარქიელო სახლში. 5 საათზე მიირთვა სადილი, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ მრავალი სამღვდელოება და მთელი აქაური

ჩინოვნიკობა. სადილომა გასტანა 7 საათამდის. ნასადილევს მისმა მეუფებამ ინება სამრევლო სამაგალითო სკოლის დათვალიერება და შევირდების გამოცდა. სკოლის შენობა მშვენიერათ მოეწონა მის მეუფებას და აგრეთვე დიდი ნასიამოვნები დარჩა პატარა მოწაფეების კარგის მიგებით, ის სიამოვნებით ისმენდა, როცა 8—9 წლის ბავშვი თამამად და სხაპა-სხუბით ზეპირად კითხულობდა დედა-ენიდან ქართულ-რუსულ ლექსებს. შემდეგ მისი მეუფება შებძანდა ლოცვაზე, სადაც დაჰყო მან გათავებამდის. კვირას, რადგან მის მეუფებას ეჩქარებოდა წაბძანება, ბრძანა, ადრე ეწირა ეკონომოსს მ. თევდორეს. დილით დაათვალიერა ახალი აშენებული ყველა მონასტრის სახლები. 7 საათზე მისი მეუფება აბრძანდა ნიეთების დასათვალიერებლათ სალაროში, სადაც ინახულა ყველა ძველი და ძვირფასი ნიეთები, ნიეთები მის მეუფებას მეტის-მეტად მოეწონენ და ბრძანა ეს პირველი და მდიდარი მონასტერი ყოფილაო, მხოლოდ კი საჭიროა ამ ნიეთებს გაუკეთდეს შკაფები, რომ ისინი უდროოდროთ არ გაფუჭდნენ და არ დაკარგოს მონასტერმა ძველი განძი და დიდება მისიო. რვის ნახევარ საათზე მისი მეუფება შებძანდა წირვაზე. წირვა მ. თევდორემ შეასრულა ქართულად, თუმცა ზოგიერთი ასამიღლებელი კი სთქვა რუსულათ. გალობდა ქართულ-რუსული ზორო. წირვას აუარებელი ხალხი დაესწრო, მოსული იყვნენ ახლო-მახლო სოფლებიდან, ასე რომ მონასტერში და მის ეზოში ტევა არ იყო. წირვის შემდეგ ადგილობრივ ბლალოჩინმა მ. კ გაწერელიამ მოკლე და მშვენიერის სიტყვით მიმართა მის მეუფებას, მან მშვენიერათ დაახატ-სურათა წარსული მნიშვნელობა ამა მონასტრისა, მოკლეთ მოუთხრო ისტორია მისი, გააცნო თუ ძველად რა იყო მარტვილის საბორო მთელ სამეგრელოსთვის, რომ ის იყო დედა ადგილი მთელ სამეგრელოსა, ადგილი, საიდგანაც ვრცელდებოდა ზნეობრივი სწავლა-განათლება და დამწერ გველი სარწმუნოებისა, რომ ის იყო ლამპარი, საიდანაც ეფინებოდა სხივი სინათლისა მრთელ სამეგრელოს. მასთან დაუსურათა დროთა ვითარებისა გამო ეხლანდელი მდგომარეობა ამა მონასტრისა და საზოგადოდ მარტვილისა. ბოლოს უსურვა მის მეუფებას ხანგრძლივი სიცოცხლე სასარგებლოდ მამულისა და მისდამი რწმუნებულ საექსარხოლო სამღვდლოებათა. ამ სიტყვებიდან, სხვათა შორის, მისი

მეუფება ცნობილ იქმნა, თუ რამდენად აქაურ მკვიდრთ ჰქონია სასოება და სიყვარული ამ მონასტრისა, აგრეთვე ნახა, თუ რამდენათ—ელტვის და ესასოება მას. ამისთვის დასანუგეშებლად ჩვენდა მისმა მეუფებამ ბრძანა, მიეცეს აქაურ მკვიდრთ ისეთივე უფლებები ამ მონასტრის სარგებლობისა, თუ რანიირი ქონიათ მათ წინეთ, თვინიერ მიცვალებულთ დასაფლავებისა. ასეთმა განკარგულებამ მისის მეუფებისამ ჩვენი საზოგადოება უზომოთ გაახარა. 11 საათზედ მისმა მეუფებამ ინება საუზმის მიერთმევა. საუზმეზედ დაესწრნენ მრავალი საპატოი ეროვნობა და სამღვდლოება. საუზმის შემდეგ მისმა მეუფებამ აკურთხა ეკონომისი მონასტრისა მ. თევდორე, მადლობა გამოუცხადა კარგად დახვედრისათვის, კარგის პატივცემისათვის და გულ უხვი მასპინძლობისათვის და გაემგზავრა ხარების მონასტრისკენ, რომელიც ერთ ვერსზედ არის მარტვილის მონასტერთან. წინაძღვარმა არხიმანდრიტმა ბ. ნიკიფორემ მის მეუფებას მოკლე სიტყვით მიმართა და შესაფერათ მოუთხრო ხარების მონასტრის ისტორია და მისი თავ-გადასავალი: შემდეგ დაათვალიერა წ-და ნაწილები ამა მონასტრისა, სახლები, მდებარეობა მისი და გაემგზავრა ახალ-სენაკისაკენ მის მეუფებას ეახლნენ ადგილობრივი ბოქაული და მრავალი საზოგადოება. ბოქაული თვის საბოქაულო საზღვარზედ გამოეთხოვა მის მეუფებას, რომელმაც მადლობა გამოუცხადა რიგიანის მიღებისათვის აკურთხა მხლებელი ცხენოსნობა და გაემგზავრა ახალ-სენაკისაკენ.

კვირას, 2 მაისს, ნაშუადღევს მათი მეუფება თავისის მხლებელით ს. მარტვილიდან ახალ-სენაკს დაბრუნდა. აქედან პირდაპირ წაბრძანდა თეკლათის დედათა-მონასტერში, სადაც ელოდებოდნენ მისს მეუფებას. თეკლათის დედა მონასტრიდან ისევ ახალ-სენაკში დაბრუნდა და სადილი მიირთვა სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის დაგბესარიონ გრიგოლის ძის მჭეიძის სასახლეში, რომელსაც მოწვეული ჰყავდა როგორც საპატოი სასულიერო პირნი, აგრეთვე საერონიცა. ღამის 11 საათზე მისი მეუფება რკინის გზის სადგურზედ მიბძანდა და გაემგზავრა ტფილისს. მათი მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობის მობრძანებამ ყველა მნახველზე მშვენიერი შთაბეჭდილება იქონია...



იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების საგანგებო კრება 31 რიცხვს.

ეს საგანგებო კრება იმერეთის ეპარქიის სამღვდლოებისა ისეთი შესანიშნავია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მკითხველების უურადლება არ მივაქციოთ ყველა იმ კითხვებს, რომელნიც ამ კრებასე აღიძრნენ და ამ კითხვების შესახებ შედგენილ ჟურნალებზე ჩვენის აზრით, საჭიროა, რომ ამ კრებაზე დამსწრე დეპუტატების სიაც კი დარჩეს შთამომავლობას. ამისათვის ამ კრების ანგარიშს ჩვენ დაწვლილებით მოუთხრობთ მკითხველებს.

მაისის 31 რიცხვს სამღვდლოების დეპუტატების ორი შესამედი შეიკრიბა, ამიტომ ამავე დღეს დეპუტატები მიუდგნენ კრების თავმჯდომარის აღჩევისს. ამ თანამდებობაზე დასახელებულ იქმნენ ორი-სამი დეპ. კანდიდატებად მღვდელნი ა. ფოფხაძე და ტაბიძე. ვარეს კენჭი ორივეზე. აღჩეულ იქმნა მღვდელი ტაბიძე, ხოლო მღვდელი ამბროსი ფოფხაძე გასმაჟეს. საქმის მწარმოებლად ერთხმად აღარჩიეს მღვდელი ს. ჭუმბურიძე. თავმჯდომარის და საქმის მწარმოებლის აღჩევის შესახებ შედგა ოქმი, რომელიც წარედგინა ეოვლად სამღვდლოს და კრება მეორე დღისათვის გადაიდგა. მეორე დღეს, კრების გახსნისათანავე, კრებაზე შემობრძანდა ეოვლად სამღვდლო ბესარიონი, რომელმაც შესაფერი დარიგება მისცა კრებას. მასთან მათმა მეუფებამ კრება აუერთსა და შინ წაბრძანდა. კრების თავმჯდომარეს ვარდასცა დაწერილი ორი საგულასხმო წინადადება, რომელნიც აქვე მოგვყავს:

პირველი წინადადება

„იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების საგანგებო კრებას“.

„1867 წლიდგან სამღვდლოებას მიენიჭა უფლება კრებების გახსნისა საბაასოთ, როგორც სასწავლებლებისა ისე თავიანთ საქმეების შესახებ. ამ დროიდგან სამღვდლოება, თითქმის, ყოველ წლობით იკრიბება თითოჯერ და ხანდისხან ორჯელ. სახელმძღვანელოდ ამ კრებათათვის გამოცემული და დამტკიცებულია წესდებულება და მრავალნი განმარტებითი დადგენილობანი უწმ. სინოდისა. ამ ხნის განმავლობაში სამღვდლოების კრებათა თავი ისახელეს და დიდი წარმატება მისცეს განსაკუთრებით სასწავლებლების მდგომარეობას. მაგრამ სამწუხაროდ ხანდისხან ისეთ შეცდომას დაუშვებენ ზოგიერთი კითხვების გამო ჟურნალების დადგენაში, რომელიც მოსალოდნელი არ არის. ამისათვის საჭიროდ ვრაცხ წინადაუდვა როგორც ამ საგანგებო კრებას, ისე შემდეგ მორიგ კრებათა, რომ მტკიცედ აღასრულონ ყველა მუხლები წესდებულებისა, რომელნიც სამღვდლოების კრებას შეეხებიან. ეცადონ, რომ ყოველი დადგენილობა კრებისა დამყარებული იყოს და დაფუძნებული კანონზე. თუ ვინმე დეპუტატთაგანმა უსათუძლოთ და უჯეროდ დაიწყოს მსჯელობა და თავისი ქცევით და სიტყვით ხელს უშლიდეს კრებას და თუ ამისთანა დეპუტატის დათხოვნაზე უმეტესობა კრებისა თხოულობდეს მის განშორებასა, თავმჯდომარე ვალდებულია სიგელს შეუდგენდეს მას და მე მომახსენებდეს ჯეროვანი განკარგულებისათვის. ამასთან ვალად უდგენ თავმჯდომარეს, არავის არ მისცეს ნება იმისთანა საგნებზე და განცხადებაზედ მსჯელობისა, რომელიც მოხსენებული არ არის კითხვათა სიებში, ჩემგან ნება დართულში. კრება უნდა იწყებოდეს ლოცვით და ლოცვითვე თავდებოდეს და არავის არა აქვს უფლება დეპუტატთაგანს კრებიდამ წავიდეს, ან თავმჯდომარემ კრება დახუროს და დეპუტატები დაითხოვოს შინ წასასვლელად, ვიდრემდის ჩემგან არ მიეცემა ნებართვა“.

პირველად ეს წინადადება წაიკითხა თავმჯდომარემ კრების გახსნისათანავე და შემდეგ მეორე წინადადება ეოვლად სამღვდლოსივე.



შეგრე წინადადება:

„იმერეთის ეპარქ. სამღვდლოების დეპუტატების საგანგებო კრებას“.

„ეს საგანგებო კრება თანახმად წინანდელი რიგის კრების ჟურნალური დადგენილობისა მე დაუნიშნე ამა მაისს განსაკუთრებით სამკლასიანი ეპარქ. საქ. სასწ. ექვს კლასიანად გადაკეთებისათვის. მე ამ კითხვის შესახებ მივიქეცი უმაღ. მთავრობისადმი და მოვახსენე ყოველივე დაბრკოლებანი, რომელნიც წარმოდგებიან სამკლასიანი საქ. სასწავლებლისაგან, მაშინ განსაკუთრებით, როცა ერთი წლის განმავლობაში ვერ ათავებს მოსწავლე ერთ კურსს და სხვ. უმაღლესმა მართებლობამ შეიწყნარა ჩვენი მოხსენება და ნება დართო იმერეთის ეპარქ. ქალების სასწ. ექვს-კლასიანად გადაკეთებასა. ამასთან კეთილ ინება ამ სასწავლებლის სასარგებლოდ ათას ხუთასი მანეთის დანიშვნა უწმ. სინოდის საშუალებიდან ყოველ წლივით. მასთან თანახმად ჩვენი წარდგენილებისა ყოველ წლივით დაუნიშნულია ხუთასი მანეთი სამაგალითო სკოლის შესანახავად ამ სასწავლებელთან და ერთ დროებითად ამ სკოლის მოსაწყობად ორასი მანეთი. მიულოცავ ამ სასიხარულო ამბავს სამღვდლოების კრებას ოსრული დარწმუნებული ვარ, რომ სამღვდლოების კრება სხვა საჭირო საშუალებათა ხსენებული სასწავლ. ექვს-კლასიანად გადაკეთებისათვის თვითონ გამონახავს და ამ ფრიად სასარგებლო უმაღლესი მთავრობის განკარგულებას მოიყვანს სისრულეში დაუყოვნებლივ.“

სამღვდლოების უმთავრეს საშუალებას სასწავლებლების შენახვაში, რასაკვირველია, ყოველთვის და ყველგან პირველი ადგილი უკავია სანთლის ქარხნებს და მათი საწყობების წარმოების საქმეს. ამისათვის შემოსვლისათანავე იმერეთის ეპარქიაში მე ყურადღება მივაქციე სანთლის წარმოების საქმეს და საუმჯობესოდ შევრაცხე წარმოება მისი სამღვდლოებისაგან. ამისათვის სამღვდლოების კრების თხოვნისა თანახმად მე მივანიჭე იგივე უფლება სამღვდლოებას სანთლის წარმოების საქმეში, რაც მათ აქვს მინიჭებული, თითქმის, ყოველს ეპარქიებში. მასთან მივიღე ყოველივე ღონე, რომ სანთლის წარმოების საქმე კეთილად წასულაყო. მოვსპე ღერობით ყიდვა სანთლისა, რომელიც ჩემს მოსვლამდე არსებობდა საწყობში და რომელიც საზარალო იყო ეკკლესიათათვის და წინააღმდეგი კანონისა. მოვსპე აგრეთვე

სხვილი სანთლების—კერასების გაყიდვა საწყობებში გირვანქისა ორ მანეთად, როგორც უკანონოდ დაწესებული საზარალოდ ეკკლესიათათვის. სამღვდლოებისაგან აღრჩეულმა კამიტეტმა, დეკანოზის დავით ლამაშიძის თავმჯდომარეობით, მოკიდა რა საქმეს ხელი, წაიყვანა ეს საქმე რიგიანად და სასურველად. სანთლის შემოსავალს თუმცა უნდა მოეკლო, რადგან ღერობით გაყიდვა სანთლისა აღკრძალული იყო, რომლისაგან არა მცირე შემოსავალი შემოდოდა წინად, მაგრამ როგორც აღმოჩნდა ანგარიშებიდან, მცირეს ხანშიდ შესამჩნევად მოიმატა შემოსავალმა. ამას ცხადად ამტკიცებს გამოცხადებული წლიური და თვიური ანგარიშები, რომელნიც წარსულ დროებში, თითქმის, არც ერთჯერ არ გამოცხადებულა საქვეყნოდ. შემოსავალმა იმდენად მოიმატა, რომ სამღვდლოებას შეუძლია ორიათასი მანეთი, რომელიც სასწავლებლისათვის მოეთხოვება მას, ამ სანთლის ქარხნის შემოსავლისაგან დაითაროს. ათასი მანეთი საჭირო ხარჯების დასათარავად მე უკვე დაუნიშნე სანთლის ქარხნისაგან ეპარქ. ქალების სასწავლებელს.

რევიზიის დროს ხშირად შემინიშნავს და მღვდლებსაც განუცხადებიათ, რომ ყალბ სანთლებს ყიდულობენ მრევლნი და ხმარობენ შინ გარდაცვალებულთა წესის აგების და პანაშვიდის შესრულების დროს და ხანდისხან ზოგიერთებს ეკკლესიებშიდაც მიაქვსთ ეს ყალბი სანთელი. ამისთანა ყალბი სანთლის ვაჭრობის საქმეს ხელს უწყობს, ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ საზოგადოებას არ შეუძლია სანთლის მოპოება ყიდვით გარდა ქუთაისის სანთლის საწყობისა. ამისათვის რომ ყალბი სანთლის ვაჭრობა მოისპოს სოფლებში და დაბებში, ჩემის აზრით საჭიროა გაიხსნას სანთლის საწყობები იმერ. ეპარქიაშიდ იმისთანა ადგილებში, რომელნიც ძლიერ დაშორებულნი არიან ქუთ. ქალაქს. ამისთანა ადგილები არიან შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრები, სადაც უთუოდ უნდა გაიხსნას სანთლის საწყობები. წინადაუდებ კრებას ეხლავე შეუდგეს ამ წინადადების გარდაწყვეტას და თავისი განჩინება ამ საგნის შესახებ მე წარმომიდგინოს.

წინადაგ უნდა ახსოვდეს სამღვდლოებას, რომ სანთლის ქარხანა არის ერთი უმთავრესი წყარო სასწავლებელთა გაუმჯობესობისა და ეკკლესიათა შემკობისა და გამშვენებისა და ყველანი მუყიათად უნდა ცდილობდნენ ამ საქმეს დაეხმარონ და ხელი

შეუწყონ მას.

ამიერიდგან ვალად დაუდგენ ყველა ბლა-
ლოჩინებს, რომ წლის გამთავეს წარმომიდგენდნენ
დაწერილებით ანგარიშს, თუ რაოდენი გაისყიდა მათ
საბლალოჩინოში სანთელი საზოგადოდ და თვითეულ
ეკლესიაში განსაკუთრებით. მე ყოველთვის სახეში
მეყოლება ის ბლალოჩინები და ის სამღვდლოება,
რომელნიც ამ საქმეში გამოიჩინენ მუყათობას და
ერთგულებას“.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყეან,
იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტა-
ტების უკანასკნელს კრებაზე, მარტის თვის 16,
17 და 18 რიცხვებში, სხვათა შორის, აღიმჩა
კითხვა იმერეთის ეპარქიის გაბრიელის საქა-
ლებო სამ-კლასიანი სასწავლებლის ექვს კლას-
სიანად გადაკეთებაზე. ამ საგნის შესახებ დანაშ-
ნულ იქნა კამმისია, რომელსაც უნდა მოეს-
ხენებია სამღვდლოების საგანგებო კრებისათ-
ვის ეოველ გვარი მოსაზრება, რომ ხსენებული
სასწავლებელი ექვს კლასიანად გადაკეთებუ-
ლიყო. ამ კრებაზე დეპუტატებს ზირველად უნდა
გამოენახათ საშუალება იმ ხარჯთა დასაფარებად,
რომელიც მოელოდა სამღვდლოებას ხსენე-
ბული სამ-კლასიანი სასწავლებლის ექვს კლას-
სიანად გადაკეთებისათვის და როცა საშუალებას
გამონახავდა სამღვდლოება, მერე შუამდგომ-
ლობა უნდა აღეძრათ უწმიდესი სინოდის წი-
ნაშე ჯეროვანი ნება-რთვის მიღებისათვის.
მაგრამ ჩვენი სამღვდლოების სასინარულოდ
ხსენებული სამ-კლასიანი სასწავლებლის ექვს
კლასიანად გადაკეთების ნება-რთვამ ამ საგან-
გებო კრებას წინაუსწრო. უწმიდესმა სინოდმა
მისი ეოველად უსამღვდლოესობას იმერეთის
ეპისკოპოსის ბესარიონის მოხსენებაზე ამ საგ-
ნის შესახებ უკვე დაადგინა, რომ ხსენებული
სასწავლებელი გადაკეთდეს ექვს კლასიანად და

მასთან სინოდმა თავის საშუალებებამ ამ სას-
წავლებელს დაუნძინა ეოველ წლიურად 1500
მანეთი, ხსენებულ სასწავლებელთან სამაგა-
ლითო სკოლის შესანახავად ეოველ წლიურად
500 მანეთი და ორასი მანეთი ერთ დროები-
თად ამ სამაგალითო სკოლის მოსაწყობად.

ეს განჩინება უწმ. სინოდისა სამღვდლო-
ების კრებამ სინარულით მოისძინა და სთხოვა
მისს ეოველად უსამღვდლოესობას ბესარიონს
ძაღლობითი ტელეგრამების მიწერა უწ. სინო-
დის და ობერ-პროკურორის სახელზე.

შემდეგი იქნება.

ჰმავზილავის სარწმუნოებრივ-ზნეობითი აღზრ-
და უმთავრესად ოჯახს აქმის და არა უკოლას.



დასასრული *)

მაწვილების რელიგიურ-ზნეობრივი აღზრ-
და უზირველესად ოჯახის მოვალეობაა,
და არა სასწავლებლისა. ამიტომ ბავშვები
ოჯახში გარემოცულნი უნდა იყვნენ
წმინდა რელიგიურ-ზნეობრივ ატმოსფერ-
ითა, ქვემარტივი ქრისტიანულ სულითა.
ოჯახის ყველა წევრი გამსჭვალულნი უნდა იყვნენ
სარწმუნოებრივ-ზნეობით პრინციპებითა, რათა ბავ-
შვებზე კეთილი ზედგავლენა იქონიონ, კარგი მაგა-
ლითები უჩვენონ; განსაკუთრებით ეს დედებისაგან
მოითხოვება, რადგან ისინი ბავშვებთან უფრო და-
ახლოვებულნი არიან და თითქმის მუდამ განუშო-
რებლად მათთან იმყოფებიან. დიადია მნიშვნელობა
დევალა. მათ ხელშია ბედნიერება კერძო პირთა და
მთელ საზოგადოებათა, ისინი ამათ აძლევენ ხასიათსა
და მიმართულებას, ისინი ქმნიან უბედურ და ბედ-
ნიერ ადამიანებს, საზოგადოებისათვის სასარგებლო
და მავნებელ წევრთა. თუ ბავშვებს იმათ კეთილი
მისწრაფებები თავითვე ჩაუნერგეს, მაშინ მომავალში
მათი შვილების მოქმედება გონივრული და ნათ-

*)იხილე „მწყემსი“ № 9-10, 1899 წ.



ლოვანი იქნება, და საზოგადოებაში მშვიდობიანობა და კეთილდღეობა იმეფებს. ბავშვების აღზრდა დედებს პირველ ადგილზე აყენებს, აყენებს მეცნიერების და მმართველების უმაღლესს, რადგან ისინი მეცნიერებს და მეფეებს ამზადებენ. რადგანაც დედებს ბავშვების აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვთ, ამისთვის განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცეს მომავალ დედების მომზადებას, ქალების აღზრდასა. ქალების აღზრდა მიმართული უნდა იქნეს იმ მიზნისადმი, რომ მათგან ჭკუიანი, დამჯდარი, სათნოიანი ადამიანები გამოვიდნენ. ახლანდელი აღზრდა იძლევა ქარაფშუტა, უბრინციპო და ცხოვრებაზე ზედაპირულად მაყურებელ ადამიანებს. გარეგანი სილამაზე, მუდმივ სარკვეში ცქერა, ალერსი და ტრფიალი გარშემო ყმაწვილ-კაცებისა, „სულთქმა-უში“ სატრფოზე სიმღერები, სამუსიკო იარაღებზე თამაში, საღამოები, თეატრი, სეირნობა, მარმელადები, ანჩხლობა-ჟინიანობა, უმნიშვნელო რომანების კითხვა, ჭორიკანობა, ენატანიობა, ქირღვა—აი შინაარსი მათის ცხოვრებისა. რა ხეირს უნდა მოველოდეთ აგეთ მჩატე დედებისგან, რა უნდა მისცენ მათ შვილებს, როცა თვით მათ არავითარი გონივრული არ მოეპოვებათ? და ასედაც იქნება, სანამ მათ მინიჭებული ექნებათ მომეტებული თავისუფლება, სანამ ისინი ნებიერებაში იქნებიან. საჭიროა მშობლებმა ცოტათი მაგრად მოუჭირონ ხელი, დააჩვიონ ღრმად ჩაკვირვებას ცხოვრებაში, თვალწინ დაუყენონ მათ გონივრული სასარგებლო მიზნები და საგნები.

თუმცა ოჯახია თავდაპირველი მოვალე ყმაწვილების აღზრდისა, მაგრამ სასწავლებელიც ვერ უგულვებელს ყოფს ამ მიზანს, სულ ერთიანად ვერ მოიშორებს თავიდან ამ მოვალეობას. სასწავლებელი მოვალეა ბავშვების სარწმუნოებრივ-ზნეობით განვითარებას შეძლებისადაგვარად ხელი შეუწყოს. შკოლაში რელიგიური, ანუ უკეთ რომ ესთქვათ, ქრისტიანული სული, მიმართულება უნდა სუფევდეს. ეს ქრისტიანული მიმართულება თავდაპირველად მასწავლებლის პიროვნებაში, მის ურთიერთობაში მოსწავლეებთან უნდა იხატებოდეს. სიმშვიდე, სიყვარული, სამართლიანობა მის სიტყვებსა და ქცევაში უნდა გამოსტვირავდეს. ის უნდა აფასებდეს და აქეზებდეს ბავშვების კეთილ თვისებათა და მოქმედებათა, თუ შემთხვევა მოიტანს უთითებდესთათ მიერ ცხადყოფილ ცუდ ჩვეულებებზე და უშლი-

დესთ მათ, უჩვენებდეს კეთილ მაგალითებს. იგი უნდა იქნეს ღრმა მორწმუნე და საეკკლესიო დაწესებულებათა პატივის-მცემელი. მასწავლებელი ბავშვისთვის ავტორიტეტია, და არც ერთი მისი სიტყვა, არც ერთი მისი მოქმედება ისე არ ჩაივლის, რო მათ სულში რამე კვალი არ დასტოვოს. მას ლაპარაკში და ქცევაში დიდი სიფრთხილე, წინდახედულობა და თავდაჭერილობა მართებს. ბავშვები წამბაძველობით ცხოვრებენ, და მასწავლებლის ზნეობრივი თვისებები მათზე მისდაუნებურად გადადიან. შემდეგ, რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათი დაკული უნდა იქნეს იმათ სწავლაში; სასწავლო საგნები შეთანხმებულნი უნდა იქნენ სარწმუნოებრივ და ზნეობით მოთხოვნილებებთან, მათ შინაარსში არ უნდა იყოს იმისთანა რამე, რომელიც მათს სინდისს შელახავს და მათ რწმენათა შეარყევს. დაბოლოს, შკოლის მოწყობილობაც მოსწავლეებს ხელს უნდა უწყობდეს ქრისტიანულ სულის მოპოებაში; ხატები, ლოცვების სწავლის დაწყების წინ და გათავების შემდეგ, საეკკლესიო მღვთის-მსახურება და სხვანი შკოლის აუცილებელ კუთვნილებას უნდა შეადგენდნენ. პირველ დასაწყის შკოლებში მასწავლებლად ქალები უნდა იქნენ, რადგან ესენი თვის ბუნებით ბავშვების მოთხოვნილებათა უფრო აკმაყოფილებენ, ვიდრე მამაკაცები. ღვთისნიერობა, გულთბილ-კეთილობა, მოთმინება დედების ნიშანდობლივ თვისებებს შეადგენენ; ხოლო ეს თვისებები საგნების მასწავლებლისთვის ფრიად საჭიროა, ბავშვები უფროსებისგან გულთბილ განწყობილებას თხოულობენ, და ამ მოთხოვნილებაზე მათ მასწავლებელი—ქალი უფრო ადვილად პასუხს მისცემს, ვიდრე მამაკაცი. მიტომაცაა, რომ ბავშვები დედებისაკენ უფრო ილტვიან.

თუმცა შკოლას აქვს წილი მოსწავლეების ზნეობრივ აღზრდაში, გარნა ვიმეორებთ, მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ისე მცირეა, რომ იგი ყმაწვილების რელიგიურ-ზნეობითის განვითარების თავდა-თავ წრედ ვერ ჩაითვლება. მასწავლებელს არ აქვს არც ღრო და არც საშვალება სისრულით, ზედმიწევნით გაიცნოს შეგირდები, შეიტყოს მათი ხასიათი, მათი თვისებანი და ჩვეულებანი. შეგირდები მასწავლებელთან, როგორც უცხო კაცთან, მორიდებულად არიან და მის შიშით თავს იმაგრებენ, ცუდ სურვილებს იმარხვენ, არ აჩენენ. მიტომაცაა, რომ მასწავლებელი ხშირად სტყუვდება თავის მოს-

წავლევების ყოფა-ქცევის შესახებ; ის, ვინც შკოლის სკამზე შვენეერ ყოფა-ქცევისად ითვლება, ნამდვილად ცუდ ხასიათისაა და როცა ცხოვრებაში გადის, ავი კაცი დგება. არც თვით მოსწავლეებს ძალუძთ კარგად მიხედნენ, თუ როგორია მათი მოსწავლეებელი, რა მოსაწონი მხარეებიამის ხასიათში; ყველამ ვიცით ახლანდელი შკოლური ვითარება, თუ როგორი დამოკიდებულებაა მოსწავლეებელსა და მოსწავლეთა შორის, როგორ დაშორებულნი არიან შეგირდნი მოსწავლეებისაგან. გაისმის ზარის ხმა, მოსწავლეებელი შედის კლასში, გაკვეთილებს ჰკითხავს, ხსნის, დარეკვისათანავე დგება და გადის,—აი მთელი ურთიერთობა მოსწავლეთა და მოსწავლეების შორის. აბა ერთი ვთქვათ, რა ადგილი ექნება აქ ზნეობრივ ზედგავლენასა. ამას დაუმატოთ კიდევ ისიც, რომ შეგირდებს მოსწავლეებლები თითქმის ყოველ წელიწადს ეცვლებათ, და აბა ამისთანა პირობაში განა შესაძლოა ერთმანეთის გაცნობა, ასე რომ იყოს, რომ ერთს მოსწავლეებელს მხოლოდ ათიოდე შეგირდი ყავდეს, თუ მუდმივ არა, მომეტებულად მაინც მათთან იყოს, ზრდიდეს მათ მთელ მათის ყმაწვილობის განმავლობაში, მაშინ შეიძლება თქმა, რომ ყმაწვილების რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდა შკოლის უმთავრესს მოვალეობას შეადგენს, და იგი პასუხის მგებელია ამის აღსრულებლობაში. ახლანდელ წესწყობილებაში-კი მხოლოდ ოჯახს, შეიძლება, დაევალოთ ყმაწვილების სარწმუნოებრივ-ზნეობითი აღზრდა. ოჯახში ყმაწვილები ცოტათი თუ ბევრად თავისუფლად გრძნობენ თავის თავს, შლიან მთელ თავისს ჩვენებას, ცხად-ყოფენ ყველა თავისს მიდრეკილებათა, და მათი საქციელი უფროსებისაგან შეუმჩნეველი ვერ დარჩება, და ამიტომ უმფროსებს ეძლევათ შემთხვევა დაუშალონ მათ ბოროტი ჩვეულებანი, კეთილნი-კი მოუწონონ და გაუძლიერონ. და რადგან ყმაწვილები ოჯახის წევრებთან დაახლოვებულნი არიან, ამიტომ ადვილად ამჩნევენ მათ კეთილ თავისებათა და შეუძლიანთ მათი გადაღება.

კატახიძე.

მწარე ფიქრები.

ღმერთო, მოსპე ჩვენში შური და სიძულვილი!.. ქრისტეს დროის მწიგნობრები და ფარისევლები, როგორც ყველამ უწყის, შურით და სიძულვილით იყვნენ აღჭურვილნი ქრისტეს წინააღმდეგ. შური, როგორც მოგვითხრობს კაცობრიობის ისტორია, ყოველთვის ყოფილა კაცთა ნათესავში და ეს მართლაც ასეც უნდა ყოფილიყო. შურის დასაწყისია ჩვენი უზობროტესი და საშიშარი მტერი — ეშმაკი. შური თანამედროეა ეშმაკისა.

ყურადღება მივაქციოთ ქრისტიანობის პირველ დროს. მოციქულთა ქადაგების წარმატება და მათი ნაყოფიერი შრომა შურს და სიძულვილს ბადავდა ურიათა და კერპთ თაყვანისმცემელთა გულში. მათ, ე. ი., კერპთთაყვანისმცემელთა მოსვენებას არ აძლევდა ის, რომ მოციქულნი სამოღვაწეო სარბიელზე შრომობდნენ და კეთილ კვალს აჩენდნენ ცხოვრებაში. ქრისტეს მტერი, თითქმის, სამი საუკუნის განმავლობაში სასტიკ ბრძოლას უწევდნენ ქრისტიანებს. ყოველივე ეს იყო ძველ დროში და დროთა ვითარებამ დაფარა ეს უბედური შურიანობა. მაგრამ, სამწუხაროდ, შურიანობა მეტად ძლიერია ამ ჩვენს დროშიც. თუ კარგად დავაკვირდებით ჩვენს ცხოვრებას, შურიანობა უფრო ძლიერია დღეს, ვინემ უწინდელ დროში. ამ უბედურ სენს ვნიშნავთ არა მარტო დიდებში, არამედ პატარა ბავშვებშიაც კი. ვინ არ შენიშნავდა, თუ როგორი შურით უყურებენ პატარები სხვის სათამაშოებს და ტანთსაცმელებს. ეს შურიანობა თანდათან ძლიერდება პატარებში და ბოლოს ღრმად იკიდებს ფეხს მათ სულსა და გულში...

თავისი ბუნებისამებრ შური დამალულია კაცის მხედველობისაგან და თვით კაციც ფარავს ამ გრძნობას, ამიტომ საძნელო ხდება შურის აღმოფხვრა და შეიძლება ვსთქვათ, რომ შური უკურნებელი სენია კაცისთვის, ვინაიდან ამ სენს იმ დროს ვნიშნავთ კაცის მოქმედებასა და ყოფა-ქცევაში, როცა მას ღრმად აქვს გადგმული ფესვები. შური, როგორც შინაგანი სენი, ძნელი გამოსაკვლევი, და როგორც ყველა ფარული, საიდუმლო სენი, ხრავს გულს, მოსვენებას არ აძლევს კაცს, რომელსაც არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ გრძნობას, რადგან



იგი საიდუმლოდ და სხვის შეუნიშნავად აღმოცენებულა და გაზდილა კაცის გულში საუბედუროდ მისსა და მის მახლობელთა. ჩვენ გვრცხვენია ამ გრძნობის გამოაშკარავება. და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ მცირე ყურადღებას ვაქცევთ ამ ზნეობრივ სენს როგორც ჩვენს შორის, ისე ჩვენ მახლობლებში; მუდამ ჩუმით ვართ და ფვარავთ შურს ჩვენს გულში ჩვენდა სავნებლად. მაგრამ იცოდეთ და ნუ დაიფიწყებთ მხოლოდ ერთს, რომ შური არის ჩვენი ფარული და ფრიალ მავნებელი მტერი; იგი ღრმად მოთავსებულია ჩვენს გულში და ჩვენვე გაცხარებულ და გამუდმებულ ომს გვიწყევს. გახსოვდეთ ისიც, რომ შური არ ყოფილიყო, მაშინ არ იქნებოდა არც მრავალი დამნაშაობანი, რომელნიც მთელს სიცოცხლეში სანანებლად და სატირლად გვირჩეხა ხოლმე, არ იქნებოდა არც ის შინაგანნი წვალეზანი, რომელნიც კაცის თვალთ შეუნიშნავნი რჩებიან, მაგრამ საოცრად კი სტანჯვენ კაცს; რომ შური არ ყოფილიყო, მაშინ არ იქნებოდა არც ცილის წამება, რომელიც მკვიდრი დაა შურისა, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც დედა, უფროსია და უფრო მავნებელი პირველზე.

შეიძლებოდა კიდევ შევირგებიყავით ისეთ ბოროტ გრძნობებს, როგორიც არის შური, რომ იგი არ ღრღნიდეს და მოსვენებას არ აძლევდეს მარტო მათ, რომელთა გულშიაც მოიკალათა ამ ბოროტმა გრძნობამ; მაგრამ შური მავნებელია როგორც თვითონ მოშურნისათვის ისე სხვათათვისაც. ვსთქვათ, ვინმე ერთი კაცი გამოსულა ცხოვრებაში და მოღვაწეობს ცხოვრების ასპარეზზე. მისი მოქმედება, მისი მოღვაწეობა, მისი შრომა თვალსაჩინოა ყველასათვის; ის დაუცხრომელად მუშაკობს საზოგადოების სასარგებლოდ. მეორე კაცი კი მუშაობს დაუცხრომლად, მაგრამ საზოგადო საქმისათვის კი არა, არამედ თავის ჯიბის გასატენად, ფულების შესაკრებად და მდიდრული ცხოვრებისათვის. რასაკვირველია, ამისთანა მუშაკი საზოგადოებისაგან სახელს ვერ მოიხვეჭს. ვერ წარმოიდგენს კაცი ამგვარი კაცების შურიაზნობას საზოგადოების სასარგებლოდ მოღვაწე კაცთადმი. დღე და ღამე შური არ აძლევს მათ განსვენებას. ნიადაგ კდილობენ როგორც თვითონ ისე თავიანთ ნაცნობების და ხელქვეითების დახმარებით, რომ რაიმე ცილი დასწამონ, რაიმე მოუგონონ და საზოგადოებას უკუღმართად დაანახვონ კეთილი მოღვაწე. შურით ანთებული იმისთანა სიცრუეს ამბობს, რომ გაოცებული მიჩერებიხარ და გიკვირს, თუ როგორ კადრულობს ასეთი სიცრუის თქმას და

სიძულვილს ისეთი პირი, რომლისაგან არასოდეს არ მოელოდი შენ მსგავს საქციელს.

ერთ დროს ამისთანა მოშურნეთა დასამოძღვრებლად განსვენებულმა ყოვლად სამღვდელო გამრიგელმა წარმოსთქვა შესანიშნავი ქადაგება ქუთაისის საკათედრო ტაძარში. ქადაგებაში, სხვათა შორის, მათმა მეუფებამ სთქვა; «არის ზოგიერთი კაცი, რომელსაც დიდი საპატიო ადგილი უკავია და კარგ ჯამაგირსაც იღებს, მაგრამ იმაზე არაფერს ამბობს. მეორეს კი უფრო პატარა ადგილი უკავია და მცირე ჯამაგირსაც იღებს, მაგრამ ბევრს შრომობს და მისი შრომა თვალსაჩინოა, ყველა იცნობს ამ კაცს და ყველასაგან შეყვარებულია მისი შრომისათვის. პირველი კი თავისთვის ცხოვრობს და არაფერს არ დაეძებს, სახარება ბალიშად გაუხდია და ღრმა ძილით ძინავს. ამისათვის მიდის უმფროსთან და უგონებს ათას ცილისწამებას: ეს ასეთიაო, ეს ისეთია, აღდგომა დღეს ეკკლესიაში არ სწირავსო და სხვისაგან კი თხოულობს, რომ საუბრები და საკითხავები გაუმართონ სამწყსოსო, ან ვინ მოსთვლის, თუ რა ცილისწამებას არ ჩამოთვლის...»

ღმერთო სულ-გრძელო და მრავალ მოწყალეო, შეუნდევე ჩვენ მოშურნეთა ყოველივე შეცოდებანი და სიძულვილი და მოაქციენ იგინი გზად ქეშმარიტებისა!..

* *

სასულიერო მართებლობა ურჩევს სამღვდელოებას, რომ სამწყსოს გაუმართოს ღვთის-მსახურების გარეშე დროს საუბრები და საკითხავები. საკითხავები და საუბრები, მართებლობას სამწყსოსის სასარგებლოდ მიიხნია. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ზოგიერთი მწყემსნი, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ამ აზრისა. ამ აზრის წინააღმდეგნი არიან არა მარტო ისეთი მწყემსნი, რომელთაც შესამჩნევი სწავლა არ მიუღიათ, არამედ იმისთანებიც კი, რომელთაც თავი მოაქვსთ მაღალი სწავლის მიღებით. ესენი ამბობენ, რომ ძველ დროში საუბრები არ ყოფილა, მაგრამ ხალხი კარგად იმწყსებოდაო». არ იციან ამ დალოცვილებმა, რომ ძველ დროში ყოველი სერობის ლოცვის დროს წაუკითხავდენ ხალხს დასამოძღვრებლად ღვთის-მსახურების გარეშე დროის საკითხავებს, რომელნიც დაბეჭდილნი არიან მარხვანში. ამ საკითხავებს ეხლაც კითხულობენ ძველი მღვდლები, მაგრამ „კურსოვნიკები“ ამ საკითხავების ენას იწუნებენ და ნაცვლად თავისი კარგი ენით დაწერილსაც არას ამბობენ. ღვთის წინაშე მართალი უნდა სთქვას



კაცმა, რომ ზოგიერთ ადგილას ნასწავლნიც კი ცდილობენ, რომ მრევლთა ყურადღება დაიმსახურონ თავის მოძღვრებით, საუბრების და საკითხავების გამართვით...

«ვის უნდა უკითხოთ, ვის უნდა ვესაუბროთ ეკლესიებში, როცა ტაძარში არავინ მოდისო? მრისხანებით ამტკიცებდა ერთი გამოჩენილი პირი. მე მესმის საკითხავების გამართვა იქ, სადაც ხალხი დაიარება ეკლესიაში და ხალხი თუ არ გეკარება, მაშინ ვის უნდა გაუმართო საკითხავი? წარმოიდგინეთ მთელს ქალაქში ჩემს მეტი მღვდელი არ არის, რომ ქართულად შეეძლოს ამ საუბრების გამართვა და მარტვა მე როგორ შემძლია ყველგან ვიარო და ყველას უკითხო. ამხუთი წლის წინათ ვსცადეთ და გაჟმართეთ საკითხავები და რა გამოვიდა? პირველად მოვიდნენ და შემდეგ არავინ არ მოგეკარება. ჩვენც თავი დავანებეთ». ამ სიტყვებს ისეთი თავმომწონებით და ამაყობით ამტკიცებდა ეს გამოჩენილი პირი, ვისომ და ამერიკა აღმოეჩინოს. მერე ვისთან? არა უბრალო პირთან. მერმე კიდევ არ იკითხავთ, რა დროს? იმისთანა დროს, როდესაც ყოველი კაცისთვის საჭიროა თავისუფლება და კრინტის დაუძვრელობა შუარის, სიძულვილის და მტრობის გამოჩენისათვის. ვაი ჩვენ სირცხვილს, ვაი ჩვენს დაკნინებას და დამცირებას...

ღიად, შური ისეთი რამ არის, რომ თვალით ვერ დაინახავ, მაგრამ აშკარად ჩნდება, როცა კაცის გულს განსვენებას არ აძლევს ის ოხერი, როცა ნიადაგ ღრღნის მისს გულს. ამ დროს ძნელია კაცმა დაფაროს იგი და ცხადათ არ შეახედოს ყველას და არ აფიქრებინოს მისი შურიანობა.

„ამასთან ჩვენ, ბატონო, ბევრი საქმეები გვაქვს, გაკვეთილებით ვართ დატვირთული, და ჩვენს მაგიერ ეკლესიებში სხვას ვაგზავნით საწირავად“. მართლაც სად არის დრო!? „ყოველ დღე ოთხი-ხუთი გაკვეთილი გვაქვს«. ღიად, მართალი არის! ერთ სასწავლებელს ხომ არ ჯერდებიან, ორ-სამ ადგილას იღებენ გაკვეთილებს და სადღა ცალიანთ საკითხავებისათვის, მით ნამეტურ რომ ხანდისხან „დასასვენებლად“, რასაკვირველია ორ-სამ საათამდე მწვანე სტოლს არიან მიმჯდარი და, სამწუხაროდ, მეღის მტვერით სუკლი აქვსთ შეხუთული. მართლაც უნდა შევიდეს კაცი მათ მდგომარეობაში!!. მაგრამ რაც უნდა სთქვან, ჩვენ მაინც ვერავინ დავგარწმუნებს, რომ საკითხავე-

ბი და საუბრები ხალხთან საჭირო არ იყოს და ეკლესიაში რომ სიარული მოსპავს სამწყსომ, ჩვენ ენა უნდა ავიქვათ სასასა ჩვენსა და დავსდვათ საცო ძნელი ბაგეთა ჩვენთა...
* * *

ზოგიერთ ეხლანდელ მკვლევარებს რომ აკვირდები კაცი, გული ექვით გვესება ძველწაწერებზე და აღარა გჯერა!.. „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ სტატიას შემდეგი სათაურით: „ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდამ 1899 წლამდე“ ავტ. მოგვიტხრობს, თუ როდეს და რომელი ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა და ან რა წიგნები იბეჭდებოდა. ავტორი ისე აშკარად სტყუვის, რომ გული აღარ მივივით სხვა ამისთანა ნაწერების კითხვაზე. ზოგიერთი ძველ ჟურნალ-გაზეთთა და წიგნების გამომცემელი დღესაც ცოცხალნი არიან, მაგრამ მემატინეს ისე აურევ-დაურევია, რომ კაცი ველარ ცნობს, ვინ იყვნენ ამ დრო გამოშვებით გამოცემათა რედაქტორებად. უყურადღებოდ დაუტოვებია ზოგიერთი დრო-გამოშვებითი გამოცემანი და დაბეჭდილი წიგნები, ვერც ნამდვილი სახელი შეუტყვია ამ გაზეთებისა და წიგნების გამომცემთა და ვერც მათი ფასი. მემატინე სწერს: „საქართველოს სასულიერო უწყება“ გამოდის ორკვირაში ერთხელ, შიგ იბეჭდება მხოლოდ ოფიციალური განცხადებანი სასულიერო მთავრობისა. წელიწადში ღირს ორი მანეთი. იბეჭდება 800 ც. ჩვენი ახირებული მემატინის ეს ცნობა თავიდან ბოლომდის ტყუილია. თუ ასე ცრუობს მემატინე იმისთანა გამოცემის შესახებ, რომელიც მის თვალის წინ გამოდის, მაშ რალა სიმართლის წგრა უნდა მოვიტხოვოთ მისგან ძველ გამოცემათა შესახებ, რომელნიც, ღიდი ხანია, მოსპობილან.

* * *
ერთ კაცს თავისი სული და სარწმუნოება შეიდეჯერ გამოუცვლია ფულის გულისათვის იერუსალიმში. დღეს რომ მართლ-მადიდებლობას მიიღებდა, ხვალ, თუ მას ფულს აჩუქებდენ, ურია, თათარი, ლოთრანგი და პროტესტანტი შეიქმნებოდა. ერთი კაცი, რომელსაც თურქე არავითარი სარწმუნოება არ ქონდა, სასულიერო შინაარსის წიგნებს ბეჭდავდა ფულის გულისათვის. სწორე ამ კაცების საქციელმა ძალაუნებურად მოგვაგონა ჩვენ ჩვენი წიგნე-



ბის ერთი გამომცემელი. ამ ვაუბატონმა გად-
მობეჭდა დეკ. დ. ლამბაშიძის გამოცემული ლოცვ-
ნისაგან დღის ლოცვები 22 გვერდი, ფასი დაადვა
თითო წიგნს ხუთი კაპეიკი. როდესაც მოიკითხვენ
ლოცვანს, მოკითხული ლოცვნის მაგიერ მსურველს
ხელში აჩეჩებენ ამ შაურიან ლოცვანს და ამნაირად
აკმაყოფილებენ საზოგადოების მოთხოვნილებას და
მართალი რომ ვთქვათ, უფრო თავის ჯიბის მოთ-
ხვნილებას!.. სწორეთ დროა, დრო, რომ ყურად-
ღება მიექცეს და ლოცვნების ბეჭდვა ახპატელოვს,
მდივნებს და მათ მსგავს კაცებს არ ჩაუვარდეს ხელში...



† მღვდელი გერონტი ელისას ძე ზიჰინაძე.

შორაზნის მახრის ჭიათურის საბლადოხინოში, შაი-
სის 8-ს, დღით შაბათს, გარდაიცვალა მღვიმის სამრევ-
ლოს მღვდელი გერონტი ჭიჭინაძე შობიდან 55 წლისა.
მ. გერონტი დაინიშნა მღვიმის წმიდის ბარბარეს შტა-
ტის ეკკლესიის მღვდლად 1872 წელში; ოცდა შვიდი
წელიწადია, რაც მ. გერონტი ერთგულად მსახურება
სსენებულ სამრევლოში; ამ ხნის განმავლობაში მან დიდი
სიყვარული და ზატივისტემა დაიმსახურა სამწესოში. რაც
კი შეეძლო, განსვენებული მუდამ მზად იყო, რომ გაჭი-
რებულისთვის შემწება აღმოეჩინა როგორც ნივთი-
ერად, ისეთ სიტყვით და კეთილ-გონიერი რჩევით. გან-
სვენებულს მ. გერონტის შინაური განათლება ქონდა მი-
ღებული, მაგრამ თავისი ნიჭით და შიმართულებით ბე-
გრის ნასწავლ მამებს არ ჩამოუვარდებოდა უკან. მას ს-
კმაოდ შეეგებებოდა ქმნდა, რომ სწავლა-განათლება ევე-
ლსათვის და ყოველგან საჭიროა ჩვენს ცხოვრებაში.
განსვენებულს დარჩა სამი ვაჟი და სამი ქალი; ორი ვა-
ჟი დღესაც სასწავლებელში უყავს; ეველა შვილებს აძლე-
და ჯეროვან განათლებას; თავისთვის თუმცა ბევრს იკ-
ლებდა, მაგრამ შვილებსე მზრუნველობა სიცოცხლის
უკანასკნელ დღემდის არ მოუსზია განსვენებულს თუმცა
ოთხციანდურად სამრევლო სკოლა არ ქმნიდა დაარსებული
მრევლში, მაგრამ მისი სახლი სკოლას წარმოადგენდა,
შინ იწვევდა თავის სამრევლოს ემსწავლებს, აძლედა მათ
დარიგებებს, უჩვენებდა, რომ ესწავლათ და თითონაც ბე-
ჯითად და უსასუადლოთ ასწავლიდა ქართულ წერა-კით-
ხვას, ანგარიშს და სამღრთო-წერილს. უნდა შევნიშნოთ,

რომ განსვენებული კარგი მცოდნე იყო სამღრთო-წერი-
ლის და მისი ხელთ-ნაწერი — როგორც იტყვიან „ხუ-
ხური ხელი“ მეტათ შინაინი და ღამაზი იყო. განსვენ-
ებულმა თავის სიცოცხლე აღბეჭდა ერთგული სამსახუ-
რით მრევლში. განსვენებულს თავის მრევლში დახვდა
ორი ზატარა ეკკლესია; ერთი მღვიმის შტატის წმიდა
ბარბარეს სახელობაზე აშენებული, და მეორე ამ შტატის
ეკკლესიაზე ზედ მიწერილი წმ. გიორგის საყდარი სოფ.
ხალიფაურში; ორივე ეკკლესია მეტად ზატარავი იყვნენ
და ხალხი კი რიცხვით ორასს კომისს აღემატებოდა; გან-
სვენებულმა ბევრი უჩნია სამწესოს და ბევრიც იზრუნა,
რომ ახალი ეკკლესიები აშენებიათ და მართლაც 1881
წელში ააშენებია მრევლს ხალიფაურში შევნიერი ქვათ-
კარის ეკკლესია და 1884 წელში მღვიმეში ააგეს დიდი
და შევნიერი ეკკლესია. ამნაირათ მ. გერონტი ეველას
უყვარდა, ეველა ზატარავს სტემდა, ეველა კმაყოფილი იყო
მისი. მისი შესედულება, ტკბილი მუსიკი, მომღიმარე
სახე ამტკიცებდა მის მშვიდს, კეთილ გულს და წინა-
ხსიათს. განსვენებულის მ. გერონტის მამა ახნაური
ელისე ჭიჭინაძე იყო რაჭის მახრადგან გადმოსული სა-
ცხოვრებლად შორაზნის მახრაში სოფ. ქორეთს, ამი-
ტომ ამ ხსენებულ სოფლის ეკკლესიაზე დასასოფლავს მ.
გერონტის გვამი მაისის თვის 12-ს. განსვენებაზე მი-
წვეულნი იყვნენ ჭიათურის და სახნურის საბლადოხინოების
სამღვდელთა, მონათესავენი და მისგან დაობლებული
სიყვარული მღვიმე — ხალიფაურის სამწესო და ეველა
გულმტკიცებულად სტიროდა სიყვარულ მოძღვარს. საუ-
კუნოდ იქონ ხსენება შენი, დირო და ზატარავსა,
მშვიდო, გულ-კეთილო, უწინარო, ეველასგან ზატარ-
ცემულო და სიყვარული მოძღვარო, მამაო გერონტი!..

ჭიათურის საეკ.-სამრ. სკოლის მასწ. ბესარიონ შაშაძე.



„შეურაცხყოფილი“ შაჰვილინი კავკასიისა.

„შეურაცხყოფილი ბავშვები“ დაარქვა დოსტოე-
სკიმ მცირე წლოვან დამნაშავეებს და მართლაც, უკეთუ-
სი სახელის ამორჩევა მათთვის ადარც კი შეიძლება; ისი-
ნი სწორეთ შეურაცხყოფილი არიან საზოგადოების მიერ,
რადგანაც საზოგადოება ქმნის ისეთ ზირობებს, რომლე-
ბიც აიძულებენ ბუნებით ზატარავს მცირე წლოვან წევ-
რებს მრუდე გზას დაადგენ. ამიტომ თვით საზოგად-




ებისავე მოვალეობას უნდა შეადგენდეს ამ შეურაცხყოფის ჩამორეცხვას და შეურაცხყოფილების ისევ სწორე გზაზე დაყენებას.

როგორც ეგელა დიდი სოციალური იდეები, მცირე წლოვან და მნაშავეების გასწორების იდეაც ჯერ კერძო ზირების გულში ჩაისხა და დიდმა ხანმა გააარა მანამდის, სანამ ის ეგელასაგან მიღებული და შეწინაბებული იქნა; ზირველი ამგვარი თავშესაფარი დაარსდა 1735 წ. იტალიაში; ჩვენი საუკუნის ზირველ ნასკვარში გასწორების იდეა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში გავრცელდა და ამ უამათ იქ თავშესაფარის რიცხვი ძალიან ბევრია; ზოგ მათგანში ასზე მეტი ბავშია შეკრებილი. ამ გამსწორებელ თავშესაფარებების წესწობილება იმ აზრსა და მუარებულები, რომ ცუდ ზირებებში ჩავარდნილი ბავშები, რომლებიც უნებლიეთ და მნაშავეთ ხდებიან, დასჯის დირსი კი არ არიან, არამედ უურადლების მიქტევას და მათზე ზრუნვას ითხოვენ. გასასწორებლათ საუკეთესო საშუალებას შრამა შეადგენს, და თავშესაფარებში ბავშები უსაქმურათ არაოდეს არ არიან.

რუსეთში ამ იდეამ მიაღწია 1864 წ. და აღექანადრე II 1866 წ. გამოსცა გამსწორებელი თავშესაფარების გახსნის შესახებ კანონი, რომელითაც მათ დასაარსებლათ კერძო ზირებს, ერობებს, საზოგადოებას და სამდგელეობებს იწვევდა. ამ უამათ რუსეთში 35 თავშესაფარია და მათში 1500 ბავშია მოკრფილი, საჭირიება კი მოითხოვს, რომ ორი ამდენიც იყოს, რადგანაც საკმარისი თავშესაფარის უქონლობის გამო აურბებელ დამნაშავე ბავშებს ისევ ისე სატუსალოებში ამწვედვენ. კავკასიაში კიდევ უფრო საჭირია ამნარი თავშესაფარები, ვადრე სადმე სხვაგან, რადგანაც ის ახლა ეკონომიური განვითარების ზირველ ხანშია, ეს ხანა კი ცხოვრებისთვის ბრძოლას უმაღლეს წერტილამდის იყვანს; ამ ბრძოლის შედეგს ეფველოვის ხალხის ერთი ნაწილის გადარიბება და უღუკმა ზურთთ დაჩენა შეადგენს, გაჭირვება კი— უმთავრესი მიზეზია ეფველ-გვარი დასაშუალოების ჩადენისა, განსაკუთრებით ბავშებს შორის.

კავკასიის საზოგადოებამ კიდევ გადაწვიტა ამგვარი თავშესაფარის დაარსება და დაარსა ოქროყანაში კოლონია, კერძო ზირისაგან ნაქირავებ მიწაზე. (1895 წ.) თავშესაფარი ჯერ 25 ბავშისთვის იყო გახსნილი, მაგრამ მალე გამოაშკარავდა, რომ ეს რიცხვი ნამეტანი მცირე იყო და თავშესაფარი გაფართოვდა, ახლა მასში 50 ბავშია. ცალკე-ცალკე თავშესაფარი ეფველ გუბერნიაში საჭირია არ არის, რადგანაც თითო გუბერნიაში დამნა-

შავე ბავშების რიცხვი ძალიან ცოტაა და არც იმდენი საშუალებაა, რომ რამდენიმე თავშესაფარის შენახვა არ გაჭირდეს, ერთის კარგათ მოწეობა და გაფართოვება კი— მიუცილებლათ საჭირია. წელიწადში თითქმის 82 ბავში არის საზერობილებში დამწვედული; გამასწორებელ თავშესაფარში ბავშმა ორი წელიწადი უნდა გაატაროს, ისე რომ, თუ გვინდა თავშესაფარი აუდიოდეს მთელი კავკასიის მოთხოვნილებას—ის 120 ბავშს მანც უნდა ინახამდეს ეფველ წელს, ამისთვის კი ბევრი ეფულია საჭირია. კავკასიის საზოგადოებამ სოფ. ზემო ავჭაღაში კიდევ შეიძინა საკუთარი ადგილი, რომელშიაც 8000 მ. მისცა, აავო ხუთი შენობა, (დაუჯდა 26000 მ.) გახსნა ორი სახელისნო, (სადურგლო, სახარაზო), შემოიღო თავშესაფარში ბავშების წერა-კითხვის სწავლება და სხვ. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრი რამ არის; კალონიაში არა აქვთ ეკკელისია, არა აქვთ საავათ-მეოფო, არა აქვთ ადმინისტრაციისთვის ცალკე სადგომები, არა აქვთ გაფანბილი წელის არსი, და არც იმდენი ადგილი აქვს, რომ 50-ზე მეტი ბავში მიიღონ; ამის გამო უმეტესი ნაწილი მცირე წლოვანი დამნაშავეების საზერობილებებში მიდიან, ე. ი. მიდიან იმ გზით, რომელიდანაც უკან დაბრუნება შეუძლებელია. 60,000 მანეთამდეა დახარჯული თავშესაფარის დაარსების შემდეგ; ამდენიც თუ მეტი არა, საჭირია კიდევ, რომ თავშესაფარი სასურველ მდგომარეობაში ჩავარდეს. საზოგადოების კასსა კი ამ ხანში ისეთ მდგომარეობაშია, რომ ზოგიერთ დამოუფლებელს ის აზრიც კი დაებადა, სხვა ღონე არ არის, თავშესაფარი უნდა დავეურთოთ. ნუ თუ შესაძლებელია, რომ საზოგადოებამ უურადლებას არ მიაქციოს ამ სასარგებლო დაწესებულებას და თავისი უურადლებობით ან ასე დაუსრულებელი დატოვოს, ან სულაც დაახურვინოს?





საისტორიო მასალა.

მღვიმის დედათა მონასტერი.

(შორაპნის მახრაში)

ამას წინაჲ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი მღვიმის მონასტრის ორს ეკლესიაზე, მისს გამოქვაბულ „ბნელეთზე“ და წყაროზე (იხილეთ 1898 წ. «მწიქსია», № 2) ვარდა ამისა მაღალ კლდეზე, რომელიც მონასტერზე დამორებულია 70—80 სუენზე; ამ ციცაბო კლდეში არის ხელოვნურად გამოჭრილი ერთი მეტად პატარა ეკლესია, რომელსაც ორი სუენი სიგრძე აქვს და ორ—სიგანე; ხოლო სიმაღლით 2 1/2 არშინია. ამ პატარა ეკლესიას შიგნივსამხვერპლო (სამკვეთო) და სკურთხველი რგზედ აქვს მოთავსებული; შიგ რაოდენიმე ძველი ხატი არის დასვენებული; არის აგრეთვე საწიგნობელი, რომელზედაც სძევს ერთი პატარა ქართული ხელნაწერი დაუჯდომელი ფთვის მშობლისა და სხვა ღოცვები; ამ ღოცვანის ბოლოს წერია: «1857 წ.» და სახელი და გვარი «ალექსანდრე ბაქრაძე» ბრძნულთა აწერია.

ამ მონასტრის სხვა ეკლესიები მეცაეტე საუკუნეში არიან ამენებული და ეს ეკლესია გი რამოდენიმე ასი წლის წინეთ უნდა იყოს გაკეთებული და რაც შეეხება იმას, რომ ღოცვანში ჩაწერილია „1857 წელი“, ეს ადვილი მისახდომია, აღბად ვინმე ალექსანდრე ბაქრაძე ამ ორმოცდა ორი წლის წინეთ დასთვალიერებლად შესულა ამ ეკლესიაში, როგორც დღეს შედიან მნახველებ, და ღოცვანის ბოლოს ჩაწერია წელთა რიცხვი და სახელი და გვარი ნახვას სახსოვრად.

დასავლეთის მხრით ეკლესიას აქვს ხელოვნურად გამოჭრილი მღვიმე, სადაც უნდა ჰქონებოდესთ ხოლმე სხვა და სხვა სარჩო და სანოვაგეს შესანახავი იქ მცხოვრებ ძმათა. აღმოსავლეთით ეკლესიას აკრავს ხელოვნურათვე გამოქვა-

ბული ორი პატარა სადგომი—სენაკი თავის ბუხრით; ამ სენაკებში მხოლოდ თითო ადამიანს შეეძლო მოთავსება. ეს ეკლესია თავის პატარა გამოქვაბული ოთხებით და საღაროთი იმნაირათ არის იმ დიდ კლდეში გამოჭრილი, რომ გარედგან სრულიადაც ვერ დაინახავთ, სანამ მნახველი, ადგილობრ არ მივა. მხოლოდ წინ უდგიასაქენ ნახევარის სიმაღლე ძველი მუხა, რომელიც არ ტუდება და არც იზრდება, რადგანაც ფესვები პატარა კლდეზედ აქვს მოფრთხნილი. დასავლეთის მხრით მონასტრედგან ამ ეკლესიასთან ადის ერთი მეტათ ვწრო ბილიკი—გზა; ამ პატარა გზის მეტი ამ ეკლესიას არც ეზო აქვს და არც სხვა გზა. ვინც სანახავათ შუდის, ამ გზას ცალი გვერდით უნდა გაერას და მეორე გვერდით არ უნდა გადინედოს, რადგანაც საოცარ სიმაღლე აქვს და თუ გამბედავი არ არის, თვალი შეუშინდება; დანარჩენი მხრით ეკლესია შემოზდუდულია დიდა და გავუვალი საშაში კლდეებით და სიმაღლით, ასე რომ ფრინველების მეტი ვერა მიუდგება რა.

ანავითარი სხვა ლევენდა, არც ზეპირ-გადმოცემა ამ პატარა ეკლესიას და სენაკებს შესახებ ხ ღნში არ დარჩენილა, მხოლოდ ამბობენ, რომ უხსოვრის დროიდგან, როდესაც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს დაუძინებელი უსჯულო მტრება მოსვენებას არ აძლივდენო, ორი მართალ-მადიდებელი ბერი შორიდგან გამოქცეულან, მოსულან ამ მიუდგომელ ციცაბო კლდეზე, გამოეჭრიათ ეს პატარა ეკლესია და თავის სადგომები, დაუუდებულან აქ ეს წმიდა მამები და აქვე განმარტაებით დაუღვათ თავის წმინდა სული...

ქიათურის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
ბესარიონ ვაშაძე.



„ივერიაში“ კვითხულობით შემდეგ ამაზაფ:

დვა მალე შემცირდება და ამით ეპარქიის ქარ-
ნის საქმე თანდათან უკეთესად წავა.“

„გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გავრცელებული არის ყალბის სანთლის გაყიდვა. ეს გარემოება ხელს უშლის საეპარქიო სანთლის ქარნის მოქმედებას. უოვლად სამღვდელთა ეპისკოპოსი ალექსანდრე მეტად დიდს ყურადღებას აქცევს ამ ქარნას. ქარნის საქმეთა მმართველი ბლადიმირი მღვდელი არსენ თონაძე და გამგე კომიტეტი დროსა და მეცადინეობას არა ზოგავენ ამ ქარნის გაუმჯობესებისათვის. ქალაქის თვით-მმართველობა და, საკმაო ფული დახარჯა ქარნის შენობის შეკეთებისათვის. მაგრამ, თუ ეპარქიაში ყალბის სანთლის გაყიდვა არ მოიხსოვ, ქარნის საქმე ვერ მიაღწევს სასურველს სიკეთეს. ამიტომ უოვლად სამღვდელთა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მისწერა ამიერ კავკასიაში აქციზის გარდასახადთა მმართველს და ქუთაისის სასანო პალატას და სთხოვა, თუ შესაძლებელი იქნება, დაეღწეოს აქციზის მოხელეთა და ხარჯის ამკრებ ინსპექტორებს, თვალ-ყური ადევნონ ყალბის სანთლის გაყიდვასა და ვისაც ყალბი სანთელი ადმოუჩნდება, ოქმი შეუდგინონ და სამართალში მისცენო.“

ყალბი სანთლის ყიდვა არა მარტო გურია-სამეგრელოს ეპარქიაშია, არამედ იმერეთისა და სხვა ეპარქიებშიაც არის. ჩვენ მხარეში ყალბი სანთლის გაყიდვა უმეტესად მისი ბრალია, რომ არც ერთ მაზრაში სანთლის საწყობები არ არის და სანთლის შეიჯველები ძალა-უნებურათ უიღულობენ ყალბ სანთელს გარდაცვალებულთა დამარხვის და წესის აგების დროს. რომ ყალბი სანთლის ვაჭრობა მოიხსოს, საჭიროა მაზრებში საწყობები დაარსდეს და ყველამ შეიძლოს სანთლის ყიდვა ეპარქიის ქალაქებში წაუსვლელად.
რედაქტორი.

რედაქციისაგან.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთების აღრესები ორჯელ იბეჭდება ასოთ ამწყობის შეცდომით, ან და ზოგიერთი სულ გამორჩება. წლის გამოავეს იწერებიან ზოგიერთები, რომ ორ-ორ ეკუმბლიარს ყურნალისას იგზავნებოდით და ერთი გამოგზავნო. ვისაც არ მიდიოდა სრულებით, ის სამღურავს იწერება, რატომ ყურნალს არ იგზავნებოთ, როცა ფული შემოტანილი მაქვსო. ვსთხოვთ ყველას, აღრე გვაცნობონ როგორც ორი ცალის მიღება წინააღმდეგ მათი სურვილისა, აგრეთვე სულ მიუღებლობა. ყველას ვსთხოვ, რომ ზედმეტი ნომრები უკანვე დაგვიბრუნონ.

შეცდომის გასწორება

მ. რ! მე ამას წინეთ შემდეგი წერილი მოგართვით:
„წასუფს წელში უცაბედი შემსუვეით მე დამეწვა სხლ-კარი და ვეკლაფერი, რაც კი გამახნდა საქონლიანად. მივიქცი სამღვდელოებისადმი შემწყობის აღმოსაჩენად და ზოგიერთებმა, შეძლებისდაგვარად, აღმომიჩინეს ფულით შემწყობა. აქ, სხვათა შორის, ქუთაისის კათედრის კრებულისაგან მივიდე 34 კანკიკი, რომელიც გადმომეცა ქალაქის ბლადიმირის მამა სესტორ უუანკიკიშვილისაგან. გულითად მადლობას ვსწირავ ქუთაისის კათედრის კრებულს ამ დახმარებისათვის.“
მე ამ წერილით მადლობას ვსწირავდი ქუთაისის კათედრის კრებულს ოც და-თოთხმეტი კანკიკის შემოწირვისათვის ჩემ სასარგებლოდ და არა ოცდა-თოთხმეტი მანეთის შეწირვისათვის, რომელიც მე სრულებით არ მიმიღია მათგან.

მთ. დიკონი ს. ფერაძე.

აქციზის გარდასახადთა მმართველმა უკვე აცნობა უოვლად სამღვდელთა ეპისკოპოსს ალექსანდრეს, თქვენის თხოვნის თანახმად, განკარგულება გავეცა, რომ აქციზის მმართველობის მეორე ოფისის მოხელეებმა დუქნების დათვალეირების დროს ყურადღება მიაქციონ აგრეთვე სანთლის გაყიდვას და თუ სადმე ყალბი სანთელი ნახეს, ოქმი შეადგინონ და გუგზავნონ გურია-სამეგრელოს კანცელარიასო, ხოლო თვით კანცელარია ოქმს სასამართლოს გადასცემსო.
ვინაიდან დანაშაულის აღმოჩენისათვის აქციზის მოხელეს ძლევა ნახევარი იმ ჯილდოსი, რომელსაც დამნაშავეს სასამართლო მიუსჯის, ამიტომ ეჭვი არ არის, რომ განკარგულება აქციზის გარდასახადთა მმართველისა მხოლოდ ქადაღდზე არ დარჩება დაწერილი: აქციზის მოხელენ, თავიანთისავე სარგებლობისათვის, ისეთსავე სესტიკს ყურადღებას მიაქცევენ ყალბის სანთლის გაყიდვას, როგორც სხვა თავისს მოვალეობას და იმეღია, ყალბის სანთლის გაყი-



შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში გამოსაცხადებლად შემდეგი წერილები:

I.

მ. რ. გთხოვთ თქვენი პატივცემული ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე, აგრეთვე ჩვენმა მრევლმა რწმუნებულის ჩემდამო სოფ. ხორგის მესამე მთავარ-ანგელოზის ეკლესიის სამრევლოსა შინა მცხოვრებელს აწ უკვე გარდაცვალებულის პატიოსანის სიმეონ ჯობავას მეუღლა გლეხა დუდუხანს, რომელმაც შემოსწირა ზემოხსენებულ ეკლესიას ერთი ხომლი თორმეტი ტოტიანი ანუ ღეროიანი თვისის დასაკიდი ჯაჭვით, ღირ. 25 მან, მღვდლის ნიკოლოზ დათუაშვილისა მეუღლას პელაგიას, რომელმაც შემოსწირა ერთი ტრაპეზის წინ დასაკები ნოხი, ღირ. 7 მან. მნათეს კვიკინა ბარამიას, რომელმაც შემოსწირა ერთი მაგიდა და ერთი პატარა კიბე-სამთლის მოსაკიდებელი, ღირ. 5 მან.

მღ. ნ. დათუაშვილი.

II.

მ. რ! უმორჩილესად გრთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი ჟურნალის «მწყემსის» საშუალებით მადლობა უძღვნა იმ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულის სოფლის შროშის მაცხოვროს ეკლესიის გასამშვენებლად შემოსწირეს სხვა-და-სხვა საეკლესიო ნივთები. აი შემწირველთა სია: გიორგი და ბესარიონ მახათაძეებმა და ნესტორ ნიქაბერიძემ ერთი წყვილი ბაირალი, ღირ. 15 მან, მკერივმა გიორგი ლაბაძისამ ნინა იესეს ასულმა 6 მ. გარდამოხსნისათვის, გიორგი ივანეს ძე სვანიძემ ორი შანდალი, ღირებული 9 მ.; გიორგი მახათაძემ წმიდა ნინოს ხატი, ღირ. 2 მ. გიორგი მახათაძის მეუღ-

ლემ ეკატერინემ საიზმესთვის 5 მ. ამავე საგნისათვის რევაზა მახათაძის მეუღლემ 1 მ. ყველა ამ ზემოაღნიშნულ პირთ მეუღამ ჩემგან მოხსენება ექმნებათ.

მღ. ს. ჩიხლაძე

III.

მ. რ! უმოსჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის «მწყემსის» შემწეობით მადლობა გამოუცხადოთ ფილიპე გრ. დვალს, რომელმაც თავის მოღვაწეობით შეაგროვა ას ოცი თუმნის ეკლესიის შემკულობანი თავის აფხანაგებში და შესწირა ბარეულის მაცხოვრის ეკლესიას.

მღ. ნ. გვენცაძე.

IV.

მ. რ! გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის «მწყემსის» საშუალებით გულო-წრთელი მადლობა გარდაუხადო იმ პირთ, რომელთაც ბესარიონ ჯღენტის წინადადებით შემოსწირეს რწმუნებულ ჩემდამო ეკლესიის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ 21 მ. და 10 კ.

მღ. სილ. ჯაში.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: საქართველოს ექსარხოსის მთავარ-ეპისკოპოსის ფლაბიანეს მოგზაურობა იმერეთის და გურია სამეგრელოს ეპარქიებში. — იმერეთის ეპარქიის სამღვდელთების დებუტატების კრება ქ. ქუთაისში 31 მაისიდან 1 ივნისამდე. — ყმაწვილების სარწმუნოებრივ-ზნეობითი აღზრდა უმთავრესად ოჯახს აძევს და არა სკოლას. — მწარე ფიქრები. — მღვ. ღერონტი ე ჰიკინაძე (ნეკროლოგი). — შეურაცხყოფილნი ყმაწვილნი კავკასიისა. — საისტორიო მასალა, მღვიმის მონასტერი. — ყალბი სანთლის გაყიდვის შესახებ. — შეცდომის გასწორება. — რედაქციისაკან. — შეწირულებანი. — განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლაბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 июня 1899 г. ♦ Цензоръ прот. Е. Е л и е в ъ.

Типог. редакци журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаись, въ д. бр. Хапановыхъ, на Нѣмецкой ул.